ოქმი N14

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი

2018 წლის 30 ნოემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარე ისაუბრა საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ არჩევნები ჩატარდა მშვიდობიანად და ექსესების გარეშე. გამარჯვება მიულოცა მართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილ პრეზიდენტს. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი იყო, როგორც მისი მომხრეების ასევე მისი ოპონენტების პრეზიდენტი და წარმატებები უსურვა მას საქმიანობაში.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

2. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: შ. ჭილაია, კ. მიქაბერიძე)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის შესაბამისი სამსახურის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ის აუცილებელი ვალდებულებები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო დაწესებულებაში დასანიშნი პირი, ანუ ვინ არ შეიძლება მიღებულ იქნეს საჯარო სამსახურში. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების 21-ე მუხლით დადგენილია დასანიშნად წარდგენილი პირის მხრიდან გარკვეული დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება. გარდა ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის საჭიროებისა, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირის სამსახურში მიღებისას აუცილებელია სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რაც ასევე განსაზღვრულია საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 196^3 მუხლით და „საწარმოების, დაწესებულებების,

ორგანიზაციებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელთა ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირთა მიერ სამუშაოდ ან სასწავლებლად იმ სამხედროვალდებულთა მიღება, რომლებიც სამხედრო აღრიცხვაზე არ არიან აყვანილნი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით" ჯარიმდება კანონით დადგენილ ფარგლებში. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N41 ოქმს თან ერთვის)

2. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის N37 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილება,

რომლის საფუძველზეც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი იყო ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისია. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ განიხილა და მიზანშეწონილად ჩათვალა ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის გაუქმება, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N42 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ტარიელ ალექსანდრია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. დოდო გაბუნია
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. თენგიზ აბაკელია
11. ბექა მამაცაშვილი
12. ფრიდონ შონია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. იგორ გოგოლაძე
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქამანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მერაბ ნადარაია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. ავთანდილ ხუნჯუა
24. აკაკი ხურცლავა
25. ნიკოლოზ ვეკუა
26. კობა გოქაძე
27. გოჩა ჯობავა
28. ირაკლი ნადარაია
29. შადიმან ჭილაია
30. გიგა ნასარაია